საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა

ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა აკაკი წერეთლის სახელობისა, კულტურულ–საგანმანათლებლო და დამხმარე სამეცნ. დაწესებულება.

ბათუმში პირველი ბ-კა 1900 მარტში გაიხსნა. ბ-კის დაარსების ინიციატივით ჯერ კიდევ 1881-იდან გამოდიოდნენ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზ-ბის წევრები, ბათუმის პირველი სკოლის მასწავლებლები – მ. შარაშიძე და ტ. წერეთელი, ბათუმში იმხანად მცხოვრები საზ. მოღვაწეები – დ. კლდიაშვილი, გ. ვოლსკი, ი. მესხი და სხვ. ისინი მოითხოვდნენ, რომ ქართულ სკოლასთან დაარსებულიყო ყველასთვის ხელმისაწვდომი, შედარებით მცირეფასიანი საჯარო ბ-კა; მაგრამ საზ-ბის ძალისხმევის მიუხედავად, ეს ვერ მოხერხდა. ბათუმში ბ-კის გახსნას ხელი შეუწყვეს მესამე - დასელებმა ს. წულუკიძის მეთაურობით, აგრეთვე ბათუმის ინტელიგენციამ – ნ. ქიქოძემ, მ. მხეიძემ, მ. ელიავამ, ნ. ბერძენიშვილმა, თ. საბაევამ და გ. მჭედლიშვილმა. 1900 ბ-კა გაიხსნა შემოწირულობების ხარჯზე და თავდაპირველად ბინა დაიდო ამჟამინდელი ხელოვნების მუზეუმის მახლობლად პატარა დაქირავებულ შენობაში. ამ ფაქტს, როგორც პროგრესულ მოვლენას, გულთბილად გამოეხმაურა გაზეთი ,,კვალი,“ რ-იც 26 მარტის ნომერში წერდა: ,,გასულ კვირაში ბათუმში აკურთხეს პირველი სახალხო ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკა მოთავსებულია ბაზრის ახლოს და ძალიან ბევრი მკითხველი ეხვევა“. ახლად დაარსებულ ბ-კაში პირველ წელს მხოლოდ პერიოდიკას გასცემდნენ (ქართ., რუს. და სომხ. ენებზე), 1901-იდან დაიწყო წიგნების გაცემაც. თავდაპირველად წიგნადი ფონდი ძალზე ღარიბი იყო, რის გამოც ბ-კამ დაკარგა მკითხველთა ინტერესი და 1902 დაიხურა. იმავე წელს ქალაქის მმართველობის სხდომაზე. გ. ვოლსკიმ კვლავ დასვა ბ-კის არსებობის აუცილებლობის საკითხი. გადაწყდა, ბათუმში 1900 დაფუძნებული საქალაქო სახალხო ბ-კა შერწყმოდა ახლად ჩამოყალიბებულ საჯარო ბ-კას. ამავე კრებამ აირჩია საჯარო ბ-კის საბჭო ი. ანდრონიკაშვილის (ბათუმის ქალაქის თავი), გ. ვოლსკის, ვ. ტურკინისა და კ.

ჩხეიძის შემადგენლობით. 1902 წ. 13 ოქტ. ეს პროცესი დასრულდა. ახლად დაფუძნებული ბ-კის წიგნადი ფონდი უმთავრესად იზრდებოდა ქველმოქმედებითა და შემოწირული წიგნების მეშვეობით. პირველივე დღეებში ბ-კას წიგნები შესწირეს ნ. დერჟავინმა, ე. ტურკინმა, ა. ივანოვმა. ო. კუზიატინამ, ე. პრიმომ და სხვ., მათგან ბ-კამ ასევე შეიძინა 223 დასახელების წიგნი. ფონდი აგრეთვე შეივსო ქალაქის გამგეობისა და კერძო პირთა მიერ შემოწირული გამოცემებით (სულ 6 068 ბეჭდვითი ერთ.). 1904 შემოწირულობის სახით ბ-კამ 100-მდე დასახელების წიგნი მიიღო. ამ დროს ბ-კაში ინახებოდა, 20 სხვადასხვა დასახელების ჟურნ.-გაზეთი. იზრდებოდა მკითხველთა რაოდენობაც. ამავე წელს პირველად ჩატარდა წიგნადი ფონდის ინვენტარიზაცია, შეიქმნა კატალოგები. 1905-თვის ბ. ს. ბ-კის წიგნადი ფონდი უკვე 2000 ეგზემპლარს შეადგენდა მაგრამ რევოლუციისა და მისგან გამოწვეული არეულობის გამო წიგნების შეძენა და პერიოდიკის გამოწერა ვეღარ ხერხდებოდა; შემცირდა მკითხველთა რაოდენობაც, თუმცა 1908 ბ-კას 41 დასახელების პერიოდული გამოცემა ჰქონდა გამოწერილი, რ-თაგან 6 იყო ქართული: ,,განათლება“, „ჯეჯილი“, ,,თემი“, ,,იმერეთი“, ,,ბათუმის გაზეთი“ და ,,სახალხო გაზეთი“.

1923 ჩატარდა რეკლასიფიკაცია და ბ-კის ფონდი გადავიდა ათწილად კლასიფიკაციაზე; 1937 ბ-კა გარდაიქმნა „სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკად“ და მიენიჭა ა. წერეთლის სახელი. 1938 ბ-კა განთავსებული იყო 3 ოთახში და 2 ცვლაში მუშაობდა. 1953-იდან ბ-კა აჭარის კულტ. სამინისტროს ექვემდებარეობდა, 1959 კი გადაკეთდა აჭარის რესპუბლიკურ ბ-კად და გახდა რეგიონში არსებული ბ-კების მეთოდურ-პრაქტიკული დახმარებისა და საბიბლიოთეკო საქმიანობის კოორდინაციის ცენტრი. 1959–63 ბ-კა გაფარდოვდა, ადრინდელ შენობას მიაშენეს ორსართულიანი ნაგებობა, შეიცვალა ტექნოლოგიაც და მეთოდოლოგიაც. 1968 საქართველოსა და აჭარის კულტურის სამინისტროების ნებართვით დაიწყო ფონდის რეინვენტარიზაცია, წიგნსაცავის ფონდის სისტემურ-ანბანური განლაგება შეიცვალა ფორმატულ-ინვენტარული განლაგებით, შედგა მთლიანი წიგნადი ფონდის ანბანური და სისტემური კატალოგები, საცავიდან სამკითხველო დარბაზში განთავსდა სახელდახელო დამხმარე ფონდი და საცნობარო გამოცემები. ეს პროცესი 1992 დასრულდა. ბ-კში შეიქმნა მუდმივმოქმედი საბჭო, რ-იც არაერთი წამოწყებისა და კულტ.-საგანმან. ღონისძიების ორგანიზატორი გახდა. გაძლიერდა მეთოდიკური სამსახური, გააქტიურდა ურთიერთობა სარაიონო და სასოფლო ბ-კებთან, გაფართოვდა საცნობარო ბიბლიოგრაფიული აპარატი, ინტენსიური გახდა მხარეთმცოდნეობითი მასალის შეგროვება, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სისტემური და ანბანური კატალოგები. ბ-კამ გამოსცა რამდენიმე მეთოდური და ბიბლიოგრაფიული ნაშრომი, საფუძველი ჩაეყარა სხვა ბ-კებთან ინტეგრირებულ მუშაობას. 1998 აჭარის არ-ის სახელმწ. რესპუბლიკურ ბ-კაში ჩატარდა სრული რეორგანიზაცია – დამტკიცდა ახალი დებულება, შეიცვალა სტრუქტურა, საშტატო განრიგი, გაუმჯობესდა შრომისა და მომსახურების პირობები, ჩატარდა სარემონტო სამუშაოები. 2007 საქართვ. საბიბლიოთეკო სისტემაში მიმდინარე პროცესების შედეგად აჭარის ა. წერეთლის სახ. რესპუბლიკურ ბიბლიოთეკას შეეცვალა სტატუსი და გარდაიქმნა ა. წერეთლის სახ. ქ. ბათუმის საჯარო ბ-კად. 2009 შეიქმნა ბ-კის ერთიანი კომპიუტერული ქსელი და დაიწყო ელექტრონული კატალოგების წარმოება.

ინტერნეტს იყენებენ საბიბლიოთეკო პროცესებისა და მკითხველთა მომსახურების დროს. ბ-კაში 2010-იდან შეიქმნა ელექტრონულ მონაცემთა ბაზა. დღეისათვის ბათუმის საჯარო ბ-კის ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში 471 268 ჩანაწერია. 2010 დაიწყო და ამჟამადაც მიმდინარეობს ათწილადი კლასიფიკაციის უახლესი გამოცემის შესაბამისად ბ-კის ფონდის რეინვენტარიზაცია, რეკლასიფიკაცია და რეკატალოგიზაცია. 2011 შეიქმნა ბ-კის ვებსაიტი (www.bpl.ge), 2012 ბ-კის ოფიციალური ფეისბუქის გვერდი. ბ-კის ფონდი 2021 წ. 1 ივლისის მდგომარეობით შეადგენს 567604 ერთეულს. აქ თავმოყრილია როგორც ძვ., ისე ახ. წიგნებისა და პერიოდიკის ფონდები, კარტოგრაფიული და გრაფიკული გამოცემები, დისკები და მრავალგვარი აუდიოვიზუალური მასალა. ფონდში დაცული დოკუმენტები წარმოდგენილია ქართ., რუს., აფხაზურ, ინგლ., გერმ., ფრანგ., იტალ., ესპ., თურქულ, არაბ., უკრაინულ, ბერძნ., პოლონურ, ჩეხურ, აზერბაიჯანულ, სომხ., ტაჯიკურ, ბასკურ, ებრაულ, ირანულ, შვედურ, იაპონურ, ბულგარულ, ყაბარდოულ ენებზე. ბ-კა თანამშრომლობს საქართველოს პარლამენტის ეროვნ. ბ-კასა და საერთაშ. ორგანიზაციებთან, აჭარის არ-ის მუნიციპალურ გამგეობებთან, საქართველოში აკრედიტებულ უცხოეთის საელჩოებთან და საკონსულოებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, საგანმან. დაწესებულებებთან, კერძო სექტორთან, მეწარმეებთან, სამრეწველო პალატასთან. ბ-კა განთავსებულია ორ შენობაში.

სხვადასხვა წლებში ბ-კას ხელმძღვანელობდნენ: ე. ტურკინი (1902-09), პ. კაზანოვსკი (1909-10), პ. გამყრელიძე (1910-22), მ. გუსევა (1923-56), ნ. გვარიშვილი (1957-66), ჯ. ჯაყელი (1966-67), მ. ბერძენიშვილი (1968-69), ე. ცივაძე (1969-92), ს. ჯორბენაძე (1992–97), გ. მახარაძე (1997-2018), ი. გოგიბერიძე (2018-20), თ. ბერიძე (2021-იდან).

თ. ბერიძე

ნ. ქყონია